ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

კვლევა განხორციელდა
ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით

2016 წელი

I. რეზიუმე

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ანალიზი გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით.

მოცემული კვლევა საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ პასუხობს ოზურგეთის ადგილობრივი ბიუჯეტი მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ საჭიროებებს; როგორ ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა და არსებული რესურსების საბიუჯეტო პროგრამებისა და პროექტების მიხედვით განაწილება; აქვთ თუ არა თანაბარი ხელმისაწვდომობა არსებულ რესურსებზე ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფებს და გათვალისწინებულია თუ არა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (მათ შორის გენდერული ნიშნით) საჭიროებები.

ბიუჯეტის გენდერული ანალიზით განხორციელდა ქალებზე და მამაკაცებზე ბიუჯეტის განსხვავებული ზემოქმედების კვლევა გენდერული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა ოზურგეთის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამის გენდერული მონიტორინგი, ჩატარდა ფოკუს ჯფუფის დისკუსია თვითმმართველობის წარმომადგენლების, დარგის სპეციალისტების, აქტიური სამოქალაქო ჯგუფების მონაწილეობით. ფოკუს ჯგუფის დისკუსია ჩატარდა 2016 წლის 21 ივნისს, 13 მონაწილით.

იმის ანალიზმა, თუ რამდენი ქალი და მამაკაცი ღებულობს მომსახურებას გამოყოფილი თანხების ფარგლებში, რამდენია მათი ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში და რამდენ ადამიანს სურდა მიეღო მომსახურება, გამოავლინა ამ რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა გენდერულ ასპექტში. ეს ინფორმაცია სამომავლოდ მისცემს საშუალებას ადგილობრივ ხელისუფლებას, დაგეგმოს ის პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუჯეტით განსაზღვრული მომსახურებებისადმი თანაბარ ხელმისაწვდომობას ქალებისა და მამაკაცებისათვის. ანალიზის პროცესში გამოვლინდა როგორც ყველაზე ეფექტური ხარჯები, ასევე ის ხარვეზები, რასაც იწვევს გენდერული მიდგომების იგნორირება ბიუჯეტირების პროცესში.

ოზურგეთის ბიუჯეტის გენდერულმა ანალიზმა მოიცვა:

1. ***მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ხარჯები:*** *შემოსავლები და გაწეული ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ერთ სულ მოსახლეზე ის 351,3 ლარს შეადგენს. (შედარებისათვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსულობები მისი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 715,3 ლარს, ქ. ბათუმის - 635,3 ლარს, ქუთაისის - 460 ლარს, სენაკის - 193,3 ლარს). შესაბამისად, ოზურგეთის მაჩვენებელი შესამჩნევად ჩამორჩება თბილისის, ბათუმის და ქუთაისის ხარჯებს, მაგრამ უსწრებს სენაკის მუნიციპალიტეტის ხარჯებს .*

2. განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯები. *ეს ხარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია და მათი წილი ადგილობრივ ბიუჯეტში ასეთია: განათლება -15,4%; ჯანდაცვა-1,4%, სოციალური დაცვა-5,9%.*

წინა წლებთან შედარებით, განათლების ხარჯები გაზრდილია 22,5%-ით (434,3 ათასი ლარით). განათლება ბიუჯეტის 11,4%-ს (1930,5 ათასი ლარი) შეადგენს, აქედან სკოლამდელ

განათლების წილია 10,8% (1824,3 ათასი ლარი) და ზოგადი განათლების - 0,6% (106,2 ათასი ლარი).

3. განათლება. ***სკოლამდელი განათლების განვითარებაზე მიმართული ხარჯები:*** *ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების პროგრამით გაიზარდა ხარჯები ბავშვთა კვებაზე, მოხდა 6 ახალი ჯგუფის დამატება ბაგის ასაკის ბავშვებისათვის.*
ეს პროგრამა არის გამოკვეთილად გენდერული ხასიათის: შინამეურნეობებში ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომიით ხდება მათი სოციალური აქტივობის სტიმულირება და უჩვენებს მუნიციპალური ხარჯების ეფექტიანობას გენდერული მიდგომების გათვალისწინებით.
ზოგადი განათლება *- ოზურგეთის მწირი ბიუჯეტის პირობებში - განსაკუთრებით პოზიტიურად ფასდება იმ აბიტურიენტების (და მათი სკოლების) წახალისება, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები (3 000 ლარი და 1000 ლარი). ეს ღონისძიება მიჩნეულია, როგორც საუკეთესო ინვესტიცია განათლებაში და ახალგაზრდების გრძელვადიან განვითარებაში, გამოკვეთილად გენდერული ხასიათის ხარჯი.*
4. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში *გაზრდილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 10%-ით (69,5 ათასი ლარი). ეს მუხლი ბიუჯეტის 4,1%-ს შეადგენს (700,5 ათასი ლარი). აქედან ჯანდაცვაზე იხარჯება 0,4% (76,0 ათასი ლარი), სოციალურ უზრუნველყოფაზე - 3,7% (624,5 ათასი ლარი). 2015 წელს ეს მუხლი ბიუჯეტის 2,7% იყო.*
5. გენდერულად სენსიტიური ხარჯები ჯანდაცვაში: *ირკვევა, რომ მიმდინარე ბიუჯეტში არის ახალი გენდერულად სენსიტიური ხარჯები: მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა; C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარების პროგრამა; უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.*
ხელმისაწვდომია დახმარებების მიმღებთა გენდერული სურათი: ონკოლოგიისა და ლეიკემიის მომართვიანობაში 80% ქალია,ხოლო C ჰეპატიტის შემთხვევაში 90% კაცია. ჯანდაცვის სტატისტიკით კი გაცილებით მეტია C ჰეპატიტით დაავადებულ ქალთა რიცხვი. როგორც ჩანს - ისინი უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებენ პროგრამით სარგებლობას.
6. უსახლკაროთა საცხოვრისის პროგრამა *- მიმდინარე წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ჩადებული იქნა გენდერულად სენსიტიური პროგრამა - მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი და უსახლკარო ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფა. დაკმაყოფილდა დაახლოებით 400 ადამიანი (90 ოჯახი).*
7. სოციალური პროგრამების დანერგვის წესი და შერჩევის კრიტერიუმები *- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადი სოციალური დახმარებების საჭიროების მქონე ბენეფიციარების შერჩევა რაიმე გარკვეული წესით არ ხდება. არ არის სისტემურად დანერგილი საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა, რომლის პირველი პრეცედენტები ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ შექმნა.*
8. ინფრასტრუქტურული ხარჯები *- ადგილობრივი ბიუჯეტის 58%-ს შეადგენს. ექსპერტების შეფასებით, ეს ხარჯები ეფექტურია. განსაკუთრებით - სოციალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით: ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ძველი შენობების რეაბილიტაცია.*

საყურადღებოა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში ჩაიდო ახალი ხარჯი - საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად, რომელიც 2015 წლის ბიუჯეტში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

ასევე - წინა წელთან შედარებით 84. 9 ათასი ლარით გაიზარდა დასუფთავების ხარჯები, რაც გენდერულად სენსიტიური მონაცემია.

9. ეკონომიკური საქმიანობა *- ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები ძალიან ცოტაა და ბიუჯეტის 0.2%-ს შეადგენს.*
კვლევის პროცესში გამოვლინდა სპეციალისტთა ნაწილის პოზიცია, რომ ბიუჯეტის დანახარჯები ეკონომიკურ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობაზე დაბალეფექტურია.
გაირკვა, რომ ფრაგმენტულად ხდება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზება. (რეგიონის ეკონომიკურ სტრატეგიასთან თანხვედრით).

10. სპორტული ღონისძიებების დანახარჯები. *ბიუჯეტი ორიენტირებულია სპორტის სხვადასხვა სახეების განვითარებაზე. ასევე - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს კულტურისა და ხელოვნების სფეროში საინტერესო ინიციატივების მხარდაჭერას.*

11. მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკის და გენდერული თანასწორობის საკითხები *- წინა წლებთან შედარებით ამ კუთხით გურიის რეგიონში პროგრესია და გამონაკლისი არც ოზურგეთის მუნიციპალიტეტია. თანამდებობრივ ვერტიკალში ხელფასები დიფერენცირებული არ არის. მიუხედავად გარეგნული გენდერული დისბალანსისა, თვითმმართველობაში ქალების ჩართულობის ხარისხი და მათი გავლენა გადაწყეტილებების მიღებაზე საკმაოდ მაღალია. ქალების მიერ ინიცირებული პროექტების 98% დაფინასებულია.*

12. ***დევნილთა მიმართ პოლიტიკა, როგორც მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის ნაწილი.*** *ხარჯი - „იგპ-თა დახმარება“ ჯამში წარმოადგენს ბიუჯეტის 0.1%-ს. მიუხედავად გარკვეული ყურადღებისა, დევნილთა თემი ნაკლებადაა ინტეგრირებული ადგილობრივ სინამდვილეში სოციალურად და ეკონომიკურად.*

13. გენდერული პარამეტრების დასანერგად ადგილობრივი რესურსების გაზრდის პოლიტიკა. *ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩანაწერი ,,გენდერული“ პროგრამებთან მიმართებაში არ არსებობს. შესამჩნევია შესაბამისი პოლიტიკა გენდერული გამოწვევების პრევენციისთვის. ოზურგეთში წარმატებით ინერგება დონორთა მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პროექტების განხორციელება. ხდება დამატებით სახსრების (გრანტების) მოძიება გენდერულად აქტიური სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად.*

<u>III ძირითადი ნაწილი</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის აღწერის მონაცემებით 48 078 შეადგენს. მათ შორის 24 521 ქალია, ხოლო კაცი - 23 557. მოსახლეობის 96% ქართველია, 2% სომეხი, 1% რუსი, 1% სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. მოსახლეობის უმრავლესობა მართმადიდებელი ქრისტიანია, მცირე ნაწილი მუსლიმი, არიან მცირე ჯგუფები - "იეჰოვას" და ,,მეს-ის" წევრები.

მუნიციპალიტეტში 73 დასახლებული პუნქტია: 4 დაბა და 69 სოფელი, რომელიც მთლიანობაში 28 ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენს.

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები

2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა პროგნოზით 16892,2 ათასი ლარი უნდა შეადგინოს, რაც ერთ სულ მოსახლეზე 351,3 ლარს შეადგენს (შედარებისთვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსულობები მისი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 715,3 ლარს, ქ. ბათუმის - 635,3 ლარს, ქუთაისის - 460 ლარს, სენაკის - 193,3 ლარს).

მუნიციპალიტეტის შემოსავლებში ქონების გადასახადი შეადგენს 9,7% (16381,1 ათასი ლარი). სახელმწიფო გრანტები - 72,6 % (13445,9 ათასი ლარი); სხვა შემოსავლები - 10,7% (1808,2 ათასი ლარი). მაგალითად: საშემოსავლო - 2,1% (350,0 ათასი ლარი), რაც 2015 წელს საერთოდ არ იყო; ჯარიმები, სანქციები და საურავები 3,4% (587,2 ათასი ლარი).

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ზოგადი გენდერული პროფილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი საბიუჯეტო პრიორიტეტები შემდეგი სფეროებით განისაზღვრება:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
- განათლება
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა, სპორტისა და ტურიზმის განვითარება
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტში სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, თუმცა ბიუჯეტში 2015 წელთან შედარებით შემცირება ჩანს, რაც განპირობებულია იმით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ძირითადად ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ხარჯზე.

მთელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ხდება ტრანშების ზრდა. 2015 წლის ბოლოს იყო 13502,5 ათასი ლარი, ხოლო დღეის მდგომარეობით არის 9793,5 ათასი ლარი, მაგრამ მათი ზრდა მოსალოდნელია წლის ბოლომდე. დანახარჯები ინფრასტრუქტურაში ბიუჯეტის 58%-ს (9793,5 ათასი ლარი) შეადგენს.

გაზრდილია განათლების ხარჯები 22,5%-ით (434,3ათასი ლარით). განათლება ბიუჯეტის 11,4%-ს (1930,5 ათასი ლარი) შეადგენს, აქედან სკოლამდელი განათლება 10,8% (1824,3 ათასი ლარი) და ზოგადი განათლება 0,6% (106,2 ათასი ლარი).

გაზრდილია კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობა, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ხარჯები 20%-ით (189,1ათასი ლარით), ეს მუხლი ბიუჯეტის 5,4%-ს შეადგენს (945,8 ათასი ლარი).

გაზრდილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 10%-ით (69,5ათასი ლარით), ეს მუხლი ბიუჯეტის 4,1%-ს შეადგენს (700,5ათასი ლარი). აქედან ჯანდაცვა 0,4% (76,0ათასი ლარი), სოციალური უზრუნველყოფა 3,7% (624,5 ათასი ლარი). 2015 წელს ეს მუხლი ბიუჯეტის 2,7% იყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური სააგენტოდან დახმარებას 1000-მდე ოჯახი ღებულობს, სულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 150 001 სარეიტინგო ქულამდე რეგისტრირებულია 27 300 მცხოვრები. აქედან, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი (57 001

ქულამდე) მოსახლის რაოდენობა შეადგენს 3 950-ს. 100 001-მდე ქულის მქონე 5 443 ოჯახია (20 086 მოქალაქე). გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებში ქალისა და კაცის რაოდენობა თითქმის თანაბარია (ქალი 51%), გამოყოფილი თანხებიდან მომსახურება ორივე ფენას თითქმის თანაბრად ხმარდება.

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური პროგრამა ხორციელდება: 1.მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა; 2.მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა; 3. მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა; 4.C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარების პროგრამა; 5.თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა; 6.უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა; 7.ლეიკემიითა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამა; 8.დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა; 9.იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; 10.სარიტუალო დახმარების პროგრამა; 11.სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამა; 12. ინვალიდთა ასოციაცია, შშმ პირთა დახმარების პროგრამა; 13.სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა; 14.სოციალური ღონისძიებების პროგრამა; 15.მცირე ტიპის ბავშვთა სახლისა და მოხუცთა სახლის თანადაფინანსების პროგრამა.

ამ პროგრამებიდან მე-3, მე-4 და მე-6 პროგრამები წინა წლებში საერთოდ არ ხორციელდებოდა. თითქმის 100%-ით ფინანსდება უსინათლოები, მრავალშვილიანი ოჯახები, C ჰეპატიტით დაავადებულები. ბენეფიციარებზე, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო გადაუდებელი დახმარების გაწევას, მაგრამ არ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის სარეზერვო ფონდიდან და მომართვიანობის შემთხვევაში 95%-ს აკმაყოფილებენ.

ხელმისაწვდომია გარკვეული დახმარებების მიმღებთა გენდერული სურათი: ონკოლოგიური და ლეიკემიის მომართვიანობაში 80% ქალია, ხოლო C ჰეპატიტის შემთხვევაში 90% კაცია. ჯანდაცვის სტატისტიკით გაცილებით მეტია C ჰეპატიტით დაავადებულ ქალთა რიცხვი, როგორც ჩანს - ისინი უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებენ პროგრამით სარგებლობას. ამიტომ **კარგი იქნება, თუ თვითმმართველობა კონტროლზე აიყვანს ამ საკითხს და უზრუნველყოფილი იქნება კაცების და ქალების თანაბარი წვდომა მოცემულ სერვისზე.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამებით ბენეფიციარების 41% (20 086) სარგებლობს.

მიმდინარე წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ჩადებული იქნა გენდერულად სენსიტიური პროგრამა - მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი და უსახლკარო 90 ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა. დაკმაყოფილდა დაახლოებით 400 ადამიანი.

ფაქტიურად ყველა ის პრიორიტეტი, რომელიც მუნიციპალიტეტს აქვს განსაზღვრული და მათზე გათვალისწინებული ხარჯი - გენდერულად მგრძნობიარეა. შეძლებისდაგვარად, ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პერიოდულად ხდება სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯის ანალიზი. მათი მტკიცებით, ანალიზმა ცხადყო მოცემული პროგრამების აუცილებლობა, რამეთუ ამით უმჯობესდება მოსახლეობის სოციალური და ყოფითი პირობები. ამ პროგრამებს პოზიტიური შეფასება მიეცა მოქალაქეების მხრიდან ოზურგეთის გენდერული საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევაშიც, მაგრამ ადგილობრივ ექსპერტთა ნაწილი არ თვლის მიზანშეწონილად სოციალურ დახმარებებზე გაწეული ხარჯის

გაზრდას და უფრო უპრიანად მიაჩნია მათი ეკონომიკური განვითარების პროგრამებისაკენ მიმართვა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა.

საკითხის შესწავლისას, თუ რამდენად აქვს გამგეობას სრულყოფილი ინფორმაცია იმ მოქალაქეებზე, ვისაც აუცილებლად სჭირდება თვითმმართველობის პროგრამებში ინტეგრირება, გაირკვა, რომ რომ მუნიციპალიტეტში სოციალურ-გენდერული საკითხების საჭიროებათა კვლევები არ ტარდება, მაგრამ ითვალისწინებენ არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს.
ცნობილი გახდა, რომ ერთჯერადი სოციალური დახმარებების საჭიროების მქონე ბენეფიციარების შერჩევა რაიმე გარკვეული წესით არ ხდება. საჭიროების მქონე პირები განცხადებით მიმართავენ გამგებლის წარმომადგენელს სოფელში, წარმომადგენელი ასკანერებს და აგზავნის ელექტრონულად გამგეობაში, განცადებას განიხილავს გამგეობის შესაბამისი სამსახური, დასკვნას კი გადასცემენ გამგებელს.
ეს პრინციპი ბევრ ხარვეზს შეიცავს, რასაც თვითმმართველობაც აღიარებს. მაგალითად - ცნობილია, რომ შშმ პირებზე დახმარება მხოლოდ დღის ცენტრთან დაკავშირებულ ადამიანებს უწევთ. ამ დროს კი სოფლებში არიან ისეთი შ.შ.მ. პირები, რომლებსაც დღის ცენტრთან არანაირი კავშირი არ აქვთ და ისინი დახმარების გარეშე რჩებიან. ამიტომ აუცილებელია მათი აღრიცხვა სოფლების მიხედვით და ამაში გამგეობის შესაბამისი სამსახურების ჩართვა.
იშვიათად, მაგრამ ჟღერს ბრალდება, რომ თვითმმართველობა სოციალური დახმარებების გაცემისას რიგ შემთხვევაში სუბიექტურია.

ცნობილი გახდა, რომ ორსულთა, მეძუძურთა, ჩვილ ბავშვთა დაცვის ადგილობრივი პროგრამები პრაქტიკულად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით მრავალშვილიანთა დახმარებას იმ ოჯახებზე, რომელთაც 100 000-ზე მეტი ქულა აქვთ სოციალურად დაუცველთა ბაზაში. მუნიციპალიტეტის დონეზე არ არის ცნობილი 5-წლამდე ბავშვთა გარდაცვალების, ან მკვდრადშობადობის მაჩვენებელი. ამ კუთხით სტატისტიკა უცნობია, თუმცა თვითმმართველობას მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში ამის ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

მუნიციპალიტეტში არის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლები, სადაც არის ნაადრევი ქორწინების საგანგაშო სტატისტიკა. იკვეთება ამ მიმართულებით თვითმმართველობის საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის აუცილებლობის საკითხი.

როგორია გენდერული პოლიტიკის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პარამეტრი - ხანდაზმულთა დაცვა: მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი პროგრამა ფუნქციონირებს - 100 წელზე მეტი ასაკის პირთა დახმარება. იყო მცდელობა, ზღვარი ცოტა უფრო დაბლა დაეწიათ, მაგრამ ბიუჯეტის შემოსავლებიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხერხდა.
აღსანიშნავია, რომ ოზურგეთში არის ხანდაზმულთა სახლი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციას ეკუთვნის, მუნიციპალიტეტი კი თანადაფინანსებას უწევს .
მუნიციპალიტეტში იმის კვლევა, თუ რამდენია ხანდაზმული, ვისაც მომვლელი ესაჭიროება, არ ჩატარებულა. თუმცა არის ინფორმაცია საჭიროების მქონე არაერთ ბენეფიციარზე და მიდის მუშაობა მათი მდგომარეობის შემსუბუქებისთვის. ხშირ შემთხვევაში ხანდაზმულები არა მხოლოდ ყოფითი საკითხების მოგვარებას საჭიროებენ, არამედ აქვთ ფსიქოლოგიური და

მენტალური პრობლემებიც, რაც მათი დახმარების საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას წარმოაჩენს.

3.განათლების პრიორიტეტის გენდერული ასპექტები

მუნიციპალიტეტების მომსახურების ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელი განათლება. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ სკოლამდელი განათლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ერთ-ერთი ძირითადი სფეროა. ამ სერვისის მხარდასაჭერად 2016 წლის ბიჯეტში იხარჯება მთლიანი ბიუჯეტის 10,8% ანუ - 1 824,3 ათასი ლარი, რაც ერთ ბაღზე ყოველთვიურად საშუალოდ 53000 ლარს გულისხმობს. ერთ ბავშვზე კვების დღიური თანხა 1ლ.18 თეთრიდან 1ლ.75 თეთრამდე გაიზარდა. შეიცვალა ინვენტარი. ბაღებს მიეწოდება ქარხნული წყალი. აშენდა ერთი ახალი ბაღი და მიმდინარეობს სამი ახალი ბაღის მშენებლობა.

ირკვევა, რომ ოზურგეთის მუციპალიტეტში სულ 34 საბავშვო ბაღია, აქედან ოთხჯგუფიანია 2, სამჯგუფიანი - 4, ორჯგუფიანი - 33, ერთჯგუფიანი - 19. სულ 58 ჯგუფია.

საბავშვო ბაღებში 1598 აღსაზრდელია, სექტემბრიდან - 1682-მდე აღსაზრდელია დარეგისტრირებული. (ანუ - ამ ეტაპზე ცნობილია, რომ სერვისის გარეშე დარჩენილია 84 ბავშვი და მოღებულია ზომები მათ დასაკმაყოფილებლად: სექტემბრიდან იგეგმება დამატებით 3 ჯგუფის გახსნა, რაც სერვისზე გაზრდილი დაკვეთით არის განპირობებული).

ნიშანდობლივია, რომ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი არის მამაკაცი, რაც არღვევს გენდერულ სტერეოტიპს, რომ ეს არის ქალების სფერო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ქალების მხარდაჭერის კუთხით განხორციელდა გენდერული ხასიათის პროგრამა: დედების გამოთავისუფლების და მათი სოციალური აქტივობის სტიმულირებისათვის საბავშვო ბაღების პროგრამით, სერვისს ბაგის ასაკის ბავშვების 6 ჯგუფი დაემატა.

ნიშანდობლივია, რომ სკოლამდელი განათლების სერვისის განვითარების საკითხი არის ხშირი დისკუსიების საგანი. სპეციალისტების ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს ბავშვზე დაფინანსების განსაზღვრას და ვაუჩერული სისტემის შემოღებას, რაც კერძო ბაღების სტიმულირებაც იქნება და მშობელს, რომელსაც აქვს სურვილი, მიიღოს უკეთესი სერვისი, ექნება არჩევანი. სხვა პოზიციით, ეს ისევ მცირეკონგინგენტიან ბაღებს დააზარალებს, როგორც სკოლების შემთხვევაში მოხდა, ამიტომ მიზანშეწონილი არაა.

აღინიშნა რომ კანონში ცვლილებებმა, რომლის მიხედვით განისაზღვრა ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა, ახალი პრობლემები წარმოშვა. კანონმა დაადგინა თითო ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაღების და ჯგუფების დამატება გახდება საჭირო, რასაც ვერცერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ აუვა. ამიტომ აქ ცენტრალური ხელისუფლების დახმარება გახდება საჭირო.

როგორც გაირკვა, რამდენიმე საბავშვო ბაღში არის უნარშეზღუდული აღსაზრდელი, მათთან მუშაობს სპეციალისტი, ადგილობრივ დონეზე შემუშავებული სასწავლო პროგრამით.

მთლიანად, მოპოვებული ინფორმაციით, ბაგა-ბაღებში დასაქმებულია 482 ადამიანი, ამათგან 70 კაცია და 412 ქალი. სულ 116 მასწავლებელია. მათ შორის უმაღლესი პედაგოგიური

განათლების მქონეა - 32. როგორც გაირკვა, მუნიციპალიტეტი ზრუნავს სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რისთვისაც გადამზადდა 68 პირველი და მეორე ცვლის აღმზრდელი, 34 მუსიკის მასწავლებელი, 34 მზარეული, 31მედდა. მიუხედავად ამისა, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს პედაგოგთა საგანმანათლებლო ცენზის საკითხი.

სადაო არაა, რომ სკოლამდელი განათლების სპეციფიკა მოითხოვს აღმზრდელ-მასწავლებელთა შესაბამის განათლებას. ამიტომ სასურველია, პედაგოგთა მეტი კვალიფიკაცია და სპეციფიკური განათლება, რაც აუცილებელია სათანადო უნერ-ჩვევებით აღჭურვილი, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად და მათი სასკოლო განათლებისათვის მოსამზადებლად.

<u>ზოგადი განათლება:</u> მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზოგად განათლებაზე ბიუჯეტის 0.6%-ია გათვალისწინებული. *(ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 37 სკოლაა. პედაგოგების რაოდენობაა 1281, აქედან 1006 ქალია და 175 კაცი. სკოლებში მომუშავეთა საშუალო ასაკი 45-50 წელია).* სკოლების განვითარება და სწავლის ხარისხზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის ინტერესს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ზოგადი განათლების ხელშეწყობის მუხლში 2016 წელს ბიუჯეტი გაიზარდა 60 000ლარით, რომელიც უშუალოდ სკოლების კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯება. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინიციატივა ქალების მიერ იყო წარმოდგენილი, რაც საკრებულოს მხრიდან მხარდაჭერილი იქნა.

ოზურგეთის ბიუჯეტში მიმდინარე წელსაც გაგრძელდა წინა წლებში დანერგილი პროგრამა, რომელიც მოსახლეობისა და სამოქალაქო სექტორის მიერ შეფასებული იყო, როგორც სერიოზული ინვესტიცია განათლებაში და ახალგაზრდობის, როგორც ერთერთი გენდერული ჯგუფის მხარდაჭერა: წელს ისევ გრძელდება წარმატებული აბიტურიენტების 3000 ლარით, ხოლო ამ აბიტურიენტების აღმზრდლი სკოლების 1000 ლარით დასაჩუქრების პრაქტიკა.

სკოლებში დაფიქსირებულია პედაგოგთა „დაბერების“ ტენდენცია და ერთფეროვანი გენდერული პროფილი - ქალების სიჭარბე. ახალგაზრდა კადრების და მამაკაცი მასწავლებლების მოზიდვაზე თვითონ სკოლები ზრუნავენ. ეს მათი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქმიანობისა და ინტერესის სფეროა. თუმცა დაბალი ანაზღაურება არ ხიბლავს ახალგაზრდობას, ამიტომ ადგილობრივ დონეზე მათი მოტივაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა თვითმმართველობის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს.

<u>4. სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დანახარჯების გენდერული ბუნება</u>

2016 წლისათვის დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენს 141 000 ლარს; სპორტული ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენს 21 000 ლარს; ტურისტული ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენს 14 000 ლარს.

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარების ხელშეწყობა. უნდა ითქვას, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში თითქმის თანაბრადაა ხელმისაწვდომი ვაჟებისა და ქალების (ვაჟების 55%, ქალების 45%) ჩართულობა.

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ კულტურულ ღონისძიებებში, სადაც სახელოვანი ადამიანების დღეები აღინიშნება, მხოლოდ მამაკაცები ფიგურირებენ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არ არის სახელოვანი ქალების სინაკლებე.

5. ინფრასტრუქტურასა და ეკონომიკაზე გაწეული ხარჯების გენდერული ხასიათი: ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ ინფრასტრუქტურულ ორიენტირს წარმოადგენს კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, რისთვისაც განსაზღვრულია 7 321,0 ათასი ლარი. აქედან ინფრასტრუქტურული სამუშაოები, შენობა-ნაგებობები - 5920,1 ათასი ლარი (საბავშვო ბაღების მშენებლობა -700 000 ლარი, გზები - 3736,3 ლარი, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები - 793,2 ათასი ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 1723,8 ათასი ლარი. დასუფთავებაზე 998,4 ათასი ლარი. ყველა სოფელში შეტანილია ნაგვის ბუნკერი (თუმცა არასაკმარისად), დროულად ხდება ნაგავის გატანა.

ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის ღონისძიებები. ყურადღება ექცევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვას.

მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების თვალსაზრისით საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა. წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა სულ რამდენიმე სოფელშია და ისიც ამორტიზებულ მდგომარეობაში. მხოლოდ ცალკეული სოფლებია გამონაკლისი, სადაც ახალი სისტემითაა წყალი შეყვანილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულება მოსახლეობის ცენტრალური წყალმომარაგებით უზრუნველყოფის თაობაზე, მუნიციპალიტეტში საკმაოდ სერიოზული საქმიანობა იქნება ამ კუთხით გასატარებელი, რაც ადგილობრივი რესურსებით ძალიან გაჭირდება. არის კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი: არსებული საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, წყალმომარაგება თვითმმართველობის უფლებამოსილებაა, მაგრამ მისი განახორციელების მექანიზმი ბუნდოვანია, რადგან არსებობს საკანონმდებლო ვაკუუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში ჩაწერილია, რომ ლიცენზირებულ კომპანიებთან მიმართებაში მიღებული უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც დარეგულირდება თვითმმართველობისა და კერძო კომპანიების ურთიერთობა, მაგრამ ეს საკანონმდებლო პაკეტი ჯერაც არაა მიღებული.

უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში არც გაზმომარაგების კუთხითაა კარგი სტუაცია: გაზიფიცირებული მხოლოდ რამდენიმე სოფელია და სრულად არცერთი სოფელია არაა დაფარული.

რაც შეეხება ამბულატორიული მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც ასევე გამოკვეთილად გენდერულ სერვისს, ის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მთლიანად ხელმისაწვდომია. ეს უფრო ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა და, შესაბამისად, მისი დამსახურებაა.

საყურადღებოა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში გაიწერა ახალი ხარჯი საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად, რომელიც 2015 წლის ბიუჯეტში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

ასევე - წინა წელთან შედარებით 84. 9 ათასი ლარით გაიზარდა დასუფთავების ხარჯი, რაც გენდერულად სენსიტიური მონაცემია.

<u>6. ეკონომიკური საქმიანობა:</u> მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 72 % ტრანსფერია, ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები ძალიან ცოტაა, ბიუჯეტის 0.2%.
მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 65% ითვლება თვითდასაქმებულად. ბიზნეს სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 2,45% (1180).
მცირე და საშუალო სექტორის გაფართოების ხელშეწყობა მუნიციპალიტის ბიუჯეტიდან არ ხდება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, რომელიც ასე საჭიროა ბიზნესის განვითარებისთვის.
უმუშევრობის მაჩვენებელი რეგიონში 25%-ია, რაც 2014 წელთან შედარებით 5%-ით არის შემცირებული, როგორც ქალებში ასევე კაცებში. ტრადიციულად უმუშევრობის დონე კაცებში უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ დასაქმებული ქალების უმრავლესობა დიასახლისია და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნება.

კვლევის პროცესში გამოვლინდა სპეციალისტთა ნაწილის პოზიცია, რომ ბიუჯეტის დანახარჯები ეკონომიკურ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობაზე დაბალეფექტურია. შექმნილია არაეფექტური შ.პ.ს ები და აიპები. მათზე გაცემული თანხებიდან უდიდესი ნაწილი ხელფასებზე მიდის. ეფექტის გაზრდის მიზნით უნდა შემცირდეს ამ სახის ორაგანიზაციების დაფინანსება და, თუ საშუალება იქნება, ეს თანხები ტენდერის ან გრანტების სახით გაიცეს კონკრეტული ბიზნეს-იდეების მხარდასაჭერად. ეს შედეგები უფრო იქნება მოგებაზე ორიენტირებული.

მუნიციპალიტეტში შექმნილია ა(ა)იპ-ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი, ცენტრის ხარჯები 2016 წლის ბიუჯეტში შეადგენს 170.0 ათას ლარს, რაც 2015 წელთან შედარებით 18000 ლარით შემცირებულია.

გაჟღერდა, რომ გარკვეულ ჯგუფებს ჰქონდათ ინიციატივა, რომ ბიუჯეტის 1% მიმართულიყო ახალგაზრდების ჩართულობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, რათა თანხა გრანტის სახით გაცემულიყო. ეს, სამწუხაროდ ვერ მოხერხდა. მათი აზრით, ხელი შეუშალა სოციალური პროგრამებით საკმაოდ დამძიმებულმა ბიუჯეტმა და ზემოაღნიშნული ინიციატივისთვის თანხები საკმარისი აღარ აღმოჩნდა. ითქვა, რომ მდგომარეობა იმდენად მძიმეა, მოსახლეობისთვის ძნელად გასაგები იქნება, როცა ეტყვის ვინმე, რომ 5 ლარით შეუმცირდათ დახმარება, რათა ის გრანტის სახით გაეცათ.

დარგის ექსპერტებმა ადრეც მიაწოდეს რეკომენდაცია ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, თუ რა დარგები უნდა განვითარდეს და რა ხელშეწყობა მოხდეს ამ კუთხით. პირობითად ეს შეიძლება იყოს გადასახდების შემცირება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. რაიმე ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც გააადვილებს ინვესტიციის მოზიდვას; კონკრეტულ საკითხზე შეიძლება კონსულტანტების მოწვევა, თუ რაზე გააკეთოს მუნიციპალიტეტმა აქცენტი, რომ გაუმჯობესდეს ბიზნეს და სოციალური გარემო.

შემუშავებულია გურიის განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც ჩამოყალიბებული იყო მდგომარეობა, სად იმყოფებოდნენ და რა უნდა გაკეთდეს განვითარებისთვის, მაგრამ

ადგილობრივ ექსპერტთა აზრით, იმდენად მძიმეა სოციალური ფონი, რომ ძნელია ადგილიდან დაძვრა.

დასახელდა პერსპექტიული დარგები სოფლის მეურნეობაში, მაგალითად - ლანდრასის ჯიშის გოჭების გამოყვანა გასამრავლებლად. სპეციალისტები თვლიან, რომ ეს არის ძალიან პერსპექტიული მიმართულება.

მიუხედავად იმისა, რომ ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, ოზურგეთშიც არ ხდება ბიუჯეტის მიმართვა გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამებისკენ, მაგრამ თვალიშისაცემია ხელისუფლების და სამოქალაქო ჯუფების დიალოგი და დისკუსია საკითხის ადგილიდან დასაძრავად, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

<u>7. გენდერული თანასწორობა მუნიციპალური მომსახურების სფეროში:</u> მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაა 169 ადამიანი. გამგეობაში - 79, აქედან 42 კაცი, 37 ქალი (46.8%). 12 წამყვანი (აქედან 5 ქალი (41.7% და 7 კაცი) და 17 მთავარი სპეციალისტი (ქალი 7 (41,2%) და 10 კაცი).

საკრებულოში დასაქმებულთა რაოდენობა - 90-ია. აქედან ქალი - 23 (25.6%) და მამაკაცი 67.

თანამდებობრივი ასპექტი: თანამდებობაზე მყოფი მამაკაცები შეადგენენ 80% პროცენტს. ხელფასების განაწილებაში გენდერული ბალანსი დაცულია (ერთსა და იმავე პოზიციაზე ქალი და კაცი იღებენ ერთნაირ ანაზღაურებას). თანამდებობრივ ვერტიკალში ხელფასები დიფერენცირებული არ არის.

მუნიციპლიტეტში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ერთ დასაქმებულზე (პრემიების ჩათვლით) 2016 წელს შეადგენს 894 ლარს.

სახელფასო სარგოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკრებულოს თანამდებობის პირების მთლიანი ყოველთვიური ანაზღაურება არის 38130 ლარი, აქედან ქალების წილზე მოდის 12130 ლარი (31.8%). რაც შეეხება საკრებულოს აპარატს, აქ ყოველთვიური სახელფასო განაკვეთის თანხაა 24880 ლარია, საიდანაც ქალების სარგებელია 3180ლარი (13%), ხოლო კაცების - 21700 ლარი (87%).

ადგილობრივ ,,ა(ა)იპ"- სა და შპს-ში მუშაობს 810 ადამიანი, მათ შორის 514 ქალი და 296 კაცი.

საინტერესოა ქალების მიერ ინიცირებული პროგრამების და გადაწყვეტილებების სტატისტიკა. ირკვევა, რომ ქალების მიერ შეტანილი პროექტების 98% დაფინასებულია. მხარდაჭერილი იქნა შემდეგი ინიციატივები:

1. სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის დღის ცენტრის ,,მომავლის სხივის" თანადაფინასება;
2. პროექტი ,,კიბო განაჩენი არ არის";
3. პროგრამა ,,ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკისთვის";
4. სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთა სახლის თანადაფინანსება;
5. ქალების ინიცირებით საკრებულომ მხარი დაუჭირა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის თანადაფინანსებას;

6. ქალი დეპუტატების ინიცირებით საკრებულომ გაზარდა ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა;

საკრებულოსა და მუნიციპალიტის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციების განთავსება, მიუხედავად ოპერატიულობისა, გენდერულ ჭრილში არ ხდება.

შეუძლებელია ადგილობრივი შრომის ბაზრის გენდერული ასპექტების სრულყოფილი ანალიზი. ოზურგეთის მუნიციპალიტში შრომის ბაზრის კვლევა არ მომხდარა.

ანგარიშგების სისტემა: თითოეულ შესრულებულ პროგრამაზე ხდება ჩატარებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის, შესრულებული სამუშაოს ანგარიშის, საფინანსო შესრულების ანგარიშის წარდგენა შესაბამისი სამსახურებისთვის. მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება თანხის ჩარიცხვა და გამგეობაში იგზავნება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თანდათან ინერგება სამოქალაქო სექტორისთვის ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით ეხება ქალების ინიციატივით განხორციელებულ პროექტებს.

კვლევაში ჩართულთა მოსაზრებებით თვითმმართველობაში გენდერულად სენსიტიური ზომების ჩამონათვალში მოხვდა: 1. ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო; 2. გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში; 3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოსა და ოზურგეთის გენდერულ საბჭოს შორის გაფორმებული მემორანდუმი; 4. გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ჩართულობა სოფლის პროექტების განხილვაში; 5. პროექტი - ,,ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკისთვის". აღინიშნა, რომ აღნიშნული პროექტები გენდერულად მგრძნობიარეს ხდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩანაწერი ,,გენდერული" პროგრამებთან მიმართებაში ჯერაც არ არსებობს, შესამჩნევია შესაბამისი პოლიტიკა გენდერული გამოწვევების პრევენციისთვის. მაგალითად - გენდერული ძალადობისაგან დაცვის მიმართულებით გამგეობაში სერიოზულად განიხილება ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის გახსნის საკითხი, ხდება რესურსების მოძიება და პარტნიორთა ქსელის შექმნა; გამოყენებული იქნება ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის გამოცდილება, ინიციატივა გაჟღერებული იყო სამთავრობო დონეზე. აღნიშნული საკითხი პასუხობს ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის მიხედვით თვითმმართველობა მოიაზრება, როგორც უფლებამოსილი სუბიექტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხში და აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ამ კუთხით საჭირო ღონისძიებები.

ოზურგეთის სინამდვილეში განიხილება ასევე ინფორმაციის გავრცელების და ამ კუთხით განათლების დონის ამაღლების, მუნიციპალიტეტში ცხელი ხაზის დანერგვის, თავშესაფრის გაკეთებამდე მსხვერპლთათვის დროებითი საცხოვრისის გამოყოფის საკითხი.

გენდერული პარამეტრების დასანერგად ადგილობრივი რესურსების გაზრდის პოლიტიკა: ოზურგეთში საკმაოდ პროდუქტიულად ინერგება ადგილობრივ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტების განხორცილება დონორთა მხარდაჭერით. მუნიციპალიტეტის მხრიდან არსებობს მზადყოფნა

გენდერული პოლიტიკის დანერგვისათვის, რაც გამოიხატება მაგალითად - ოზურგეთის გენდერული საბჭოს მიერ ინიცირებულ პროექტებში თანადაფინანსების წილის გამოყოფით.

იგპ-თა (დევნილთა) მიმართ პოლიტიკა, როგორც თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის ნაწილი: იძულებით გადაადგილებული პირები განეკუთვნებიან საზოგადოების ერთერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას და მოიაზრებიან გენდერული პოლიტიკის ობიექტებად. ოზურგეთის სინამდვილეში დევნილები სარგებლობენ ყველა იმ პროგრამით, რაც მუნიციპალიტეტში ხორციელდება. ასევე არის სპეციალური პროგრამა „იგპ-თა დახმარება" (პროგრამული კოდი 06 02 12), რაც ჯამში წარმოადგენს ბიუჯეტის 0.1%-ს. მიუხედავად ამისა, დევნილთა თემი ნაკლებადაა ინტეგრირებული ადგილობრივ სინამდვილეში სოციალურად და ეკონომიკურად.
საკითხი, რამდენად არის გათვალისწინებული გაეროს გლობალური - „მდგრადი განვითარების მიზნები" და გენდერული თანასწორობის ამოცანები 2016 წლის ბიუჯეტში: თვითმმართველობისგან მოპოვებული ინფორმაციით, მართალია, ეს მიზანმიმართულად არ მომხდარა, მაგრამ ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლები პასუხობს გაეროს გლობალური მიზნების მიღწევის ამოცანებს. მაგალითად - ქალების გამოთვისუფლება საოჯახო შრომიდან ბაგის ასაკის ჯგუფების დამატებით; სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში გოგონებისა და ვაჟების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა; რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვის პროექტების მხარდაჭერა და ა.შ.

<u>დასკვნები და რეკომენდაციები:</u>

ოზურგეთში ბიუჯეტის გენდერული ხასიათი სოციალური პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული, ეს მისასალმებელი ფაქტია. ამასთან, სამწუხაროდ, სოციალური დაცვის სფეროში ბიუჯეტის გენდერული ხასიათი პროგრამულად არ არის დანაწევრებული და მის ფორმატში გენდერული მაჩვენებლები იდენტიფიცირებული არ არის.
საკრებულო და მუნიციპალიტის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციების განთავსება, მიუხედავად ოპერატიულობისა, არ ხდება გენდერულ ჭრილში.

მუნიციპალიტეტში არის ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სოფლები, სადაც ნაადრევი ქორწინების ფაქტების სიმრავლე შეშფოთებას იწვევს. იკვეთება ამ მიმართულებით თვითმმართველობის საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობა.

სკოლამდელი განათლების სპეციფიკა მოითხოვს აღმზრდელ-მასწავლებელთა შესაბამის განათლებას. ამიტომ სასურველია, პედაგოგთა მეტი კვალიფიკაცია და სპეციფიკური განათლება, რაც აუცილებელია სათანადო უნერ-ჩვევებით აღჭურვილი, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად და მათი სასკოლო განათლებისათვის მოსამზადებლად.
ოზურგეთში მკაფიოდ იკვეთება გარკვეული დახმარებების მიმღებთა გენდერული სურათი: ონკოლოგიური და ლეიკემიის მომართვიანობაში 80% ქალია, ხოლო C ჰეპატიტის შემთხვევაში 90% კაცია. ჯანდაცვის სტატისტიკით გაცილებით მეტია C ჰეპატიტით დაავადებულ ქალთა რიცხვი, როგორც ჩანს - ისინი უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებენ პროგრამით სარგებლობას.

ამიტომ **კარგი იქნება, თუ თვითმმართველობა კონტროლზე აიყვანს ამ საკითხს და უზრუნველყოფილი იქნება კაცების და ქალების თანაბარი წვდომა მოცემულ სერვისზე.**

<u>ძირითადი სარეკომენდაციო წინადადებები:</u>

1. მუნიციპალიტეის ბიუჯეტის შედგენისას მოსახლეობის ყველა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების გენდერულ ჭრილში სრულად და სამართლიანად გასათვალისწინებლად, უმჯობესია თვითმმართველობა დაეყრდნოს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთეულებიდან წარმოდგენილ და დეპუტატების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს, არამედ, ევროკავშირის ქვეყნებში დამკვიდრებულ საჭიროებათა სოციალურ–ეკონომიკური კვლევების, თვითონ მოსახლეობის აქტიური ჩართულობით ჩატარების პრაქტიკას. პრობლემებს და საჭიროებებს შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაადრევი ქორწინების პრევენციაზე, ოჯახში ძალადობისგან დაცვის სპეციალურ ღონისძიებებზე.

   - ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო დონორთა მიერ გამოყოფილი გრანტები, მათი მოპოვება შესაძლებელია პერიოდულად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის გზით. ასეთ კონკურსებში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, ან/და ადგილობრივმა NGO-ებმა, თვითმმართველობასთან ერთად. თვითმმართველობამ უნდა გააგრძელოს აღებული კურსი, განამტკიცოს მიღწეული შედეგები და ყოველწლიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გააღრმაოს ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება ;

   -გენდერული პოლიტიკის ეფექტურად გატარებისათვის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს კარგად გააზრებული, საზოგადოებასთან შეთანხმებული და შეძლებისდაგვარად, საერთაშორისო პრაქტიკასთან შეჯერებული გენდერული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის წარმომადგენელი კომპეტენტური ქალებისა და კაცების ჩართულობა, ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სქესის ნიშნით მონაცემთა ბაზის ფორმირება და ა.შ.

   ასეთი მიდგომით შედგენილი მუნიციპალური ბიუჯეტი, მეტად იქნება შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, გაეროს მიერ შემუშავებულ მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებსა და ამ დოკუმენტში გენდერული მიმართულებით დასახულ ამოცანებთან. ამისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ყველა წინაპირობა გააჩნია.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტის მაღალ დონეზე შემუშავება და ბოლო წლებში მიღწეული პოზიტიური შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობას მისი საქმიანობის ყველა მიმართულებით ექნება საკუთარი, წლების მიხედვით შედარებადი მონაცემთა ბაზა (რეალური სტატისტიკა). მარტო

ეროვნული სტატისტიკა ყოველთვის ობიექტურად ვერ ასახავს ქალაქებში და რაიონებში არსებულ რეალურ მდგომარეობას, გამოკვეთილ ტენდენციებს.
ამის გაკეთება თვითონ ოზურგეთის რაიონის და მისი მოსახლეობის ინტერესებშია. აუცილებლად უნდა იქნეს დაძლეული იმის შიში, რომ ასეთ მონაცემთა ბაზას სათავისოდ და არაკეთილსინდისიერად გამოიყენებს რომელიმე პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკოსი.
უნდა დაინერგოს ყოველი მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ მომდევნო გუნდისთვის აღნიშნულ მონაცემთა ბაზის ოფიციალურად საჯაროდ გადაცემის პრაქტიკა.

3. როგორც გენდერული, ისე რაიონისათვის ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების (საჭიროებების) მოგვარებისა და მართვის პროცესში კარგი იქნებოდა მოხალისეების ჩართვა. საერთოდ, მოხალისეობის ინსტიტუტის ევროპული პრაქტიკა შესწავლასა და დანერგვას მოითხოვს.
მოხალისეობის მაგალითის მიმცემი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პედაგოგები, სხვა ცალკეული პირები რაიონში ან რეგიონში ყოველთვის მოიძებნებიან.

4. განათლების სისტემაში ახალგაზრდა პედაგოგების, უპირველესად მამაკაცების მოსაზიდად, კარგი შედეგის მოტანა შეუძლია სკოლებში კურსდამთავრებულების სავალდებულო მინიმუმ 1 წლიანი სტაჟირების შემოღებას.
საერთოდ, ყველგან წასახალისებელია 25-45 ასაკში ახალგაზრდა პედაგოგების საჯარო სკოლებში მუშაობა. ამისათვისლოგიკური იქნებოდა კანონპროექტის ინიცირება, რომლის თანახმად იმ პედაგოგებს, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში სკოლებში უწყვეტად იმუშავეს პენსიაზე გასვლისას დაენიშნოთ გაორმაგებული პენსია.

5. მაღალი გენდერული კულტურის ოჯახში და საზოგადოებაში შემოტანის ეფექტური გზა შეიძლება გახდეს პირველ ეტაპზე სკოლამდელ განათლებაში ინოვაციური მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემოღება. ერთ–ერთი ასეთი ინოვაციური ინსტრუმენტი იქნებოდა საბავშვო ბაღების ყველა ასაკობრივი ჯგუფების აღმზრდელებად გენდერულად სათანადო მომზადების მქონე, კონკურსის წესით შერჩეული კაცის და ქალის დანიშვნა (შეიძლება იყოს ცოლ-ქმარი). ერთ ჯგუფში ერთდროულად 2 აღმზრდელის (კაცის და ქალის) ერთად მუშაობა, მათ მიერ ჯგუფებში დახვეწილი ურთიერთობების დემონსტრირება და პირად მაგალითზე ბავშვების აღზრდა აღმოფხვრიდა იმ უამრავ ნაკლოვანებას, რომლებიც სამწუხაროდ, ბევრ ოჯახში არსებობს. სასურველია, არ დაველოდოთ „ზემოდან“ წამოსულ რეფორმებს და მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინიციატივით, თვითონ შექმნას რამოდენიმე პილოტური ჯგუფი და სცადოს პროფესიონალურად დამუშავებული სიახლის მოსინჯვა. თავიდან ეს არ იქნება დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული. წინასწარი ვარაუდით, ინიციატივის რეალიზება, რომელიც იდეალური ოჯახური აღზრდის მოდელის საბავშვო ბაღების ჯგუფებში შემოტანას ნიშნავს, გვჯერა საინტერესო და პოზიტიურ შედეგებს მოიტანს, სკოლამდელი განათლების

რეფორმაზე დიდ გავლენას იქონიებს და ქვეყანაში ახალი საუკეთესო ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული გენდერული კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ამასთან, აღნიშნული იდეა - წინადადება კარგი საფუძველი იქნებოდა რომელიმე პროფილური ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისათის.

6. ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, როგორც რიცხოვნობის, ისე ანაზღაურების თვალსაზრისით არსებული აშკარა გენდერული დისბალანსის შესამცირებლად, ოზურგეთის თვითმმართველობამ შემდგომი წლების ბიუჯეტებში სასურველია გაითვალისწინოს მიზნობრივი ხარჯების გარკვეული ზრდა იმ ადგილობრივი NGO–ის თანადაფინანსებისათვის, რომლებიც პრიორიტეტულად ქალთა ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს განახორციელებენ. პრობლემის გადასაჭრელად თვითმმართველობის, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალწლიანი მიზანმიმართული თანამშრომლობაა საჭირო.

   ეკონომიკურ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯების დაბალეფექტურობის მიზეზების ანალიზის საფუძველზე უნდა იქნეს განხილული ბიუჯეტში ეკონომიკური ხარჯების მომატების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა (ზრდის დინამიკის ხილვა მისასალმებელი იქნება).

7. სასურველია იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მეტი ხარისხის მიღწევა. ამისათვის ყველაზე ეფექტური გზაა იგპ-თა ბინებით უზრუნველყოფა და საარსებო წყაროებთან დაკავშირების ხელშეწყობა.

8. ოზურგეთის თვითმმართველობისა და ქალთა ფონდ „სოხუმს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და გენდერულ საკითხებზე ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერია. ეს ფაქტი მისასალმებელია. დაწყებული თანამშრომლობა სასურველია, შემდგომშიც გაგრძელდეს და მას მომავალში მეტი მასშტაბები მიეცეს. ყოველივე ზემოთაღნიშნულის შედეგად, სენაკის მუნიციპალიტეტში დეპუტატების და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პირების რაოდენობრივი და მათი შრომის ანაზღაურების რეალური გენდერული ბალანსი თანდათანობით დამყარდება!

და ბოლოს, შეგახსენებთ ცნობილი პოლიტიკოსის, დიდი ბრიტანეთის პირველი ქალი პრემიერის მარგარეტ ტეტჩერის სიტყვებს: “ თუ ქალი ხასიათის სიმტკიცეს ამჟღავნებს, ამბობენ: მავნე ვინმეა, თუ მამაკაცი- რა კარგი ყმაწვილიაო”!